სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

11 ივლისი 2025

N 360/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდა) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შპს „ევროცემენტის“ (ს/კ 232541513) მიერ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) 2025 წლის 8 აპრილს (წერილი N3506) წარმოდგენილი იქნა კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდა) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სააგენტომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა (ბრძანება 204/ს; 17/04/2025), ადმინისტრაციულ წარმოებაში შესაბამისი უწყებების ჩართვა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით - სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცენტრის მიერ განთავსდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე. გზშ-ის ანგარიში მომზადებულია შპს ,,BS Group“-ის მიერ.

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდა) 2024 წლის 5 ივლისს გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N343/ს), რომლის საფუძველზეც დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (შემდგომ - გზშ).

2024 წლის 26 ნოემბერს, სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სააგენტოში შპს „ევროცემენტის“ მიერ წარმოდგენილი იქნა კასპის მუნიციპალიტეტში სოფ. კავთისხევში, ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში, რაზეც სკოპინგის პროცედურის შედეგად დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (სკოპინგის დასკვნა N3; ბრძანება N26/ს, 23/01/2025).

2018 წლის 12 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-551). სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „ევროცემენტის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8]-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილის შესაბამისად შედგა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №065155 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს. სასამართლოს 2021 წლის 20 დეკემბრის №4/135-2021 დადგენილებით კომპანია ცნობილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შპს „ევროცემენტის“ მიმართ შემუშავდა 2022 წლის 20 მაისის №002346 ადმინისტრაციული მიწერილობა, განესაზღვრა გარკვეული პირობები და მათ შესასრულებლად განესაზღვრა გონივრული ვადები. აღნიშნული ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ცემენტის საწარმოს დათვალიერების (19.09.2022) და დოკუმენტების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ევროცემენტს“ შესრულებული აქვს ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული მიწერილობით განსაზღვრული პირობები.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ 2023 წლის 3 აგვისტოს შპს „ევროცემენტის“ მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[8] მუხლის პირველი ნაწილის და 79[8] მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ N081213 ოქმი, რომლის თანახმად, შპს „ევროცემენტი“ არ ახორციელებდა საქმიანობას №2-551 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების 3.4 ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნული მასალები განსახილველად გადაეგზავნა გორის საქალაქო სასამართლოს.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ცემენტის საწარმო განთავსებულია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე კაპიტალური ღობით შემოსაზღვრულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.08.32.002; ფართობი 20 000 მ[2]). უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 640 მ-ით. საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან 500 მეტრის რადიუსში მდებარეობს მეცხოველეობის ფერმები: შპს „ახალი ფერმა“ (ჩრდილო-აღმოსავლეთით 240 მეტრში) და შპს „ფემილ ფარმი“ (სამხრეთ-დასავლეთით 450 მეტრში). საწარმოს ჩრდილო-აღმოსავლეთით 170 მეტრში ფუნქციონირებს სამშენებლო ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმო შპს „ვიქტორია“ და ჩრდილოეთით, დაახლოებით 520 მეტრში ფუნქციონირებს შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმო. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი, მიედინება საწარმოს ტერიტორიიდან დაახლოებით 400 მეტრში. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ცემენტის წარმოების არსებულ დანადგარებთან ერთად ტერიტორიაზე განთავსებულია კლინკერის წარმოებისთვის საჭირო უფუნქციო დანადგარები და ინფრასტუქტურა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების ალტერნატიული ვარიანტების შესახებ, მათ შორის, განხილულია დაგეგმილი საქმიანობის არაქმედების და საქმიანობის განხორციელების ადგილის ალტერნატივები.

ვინაიდან საწარმოს ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია ყველა საჭირო ინფრასტრუქტურა, ხოლო ახალი, აუთვისებელი ტერიტორიის შერჩევა მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან იქნებოდა დაკავშირებული, ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტის განხილვა მიზანშეწონილად არ ჩაითვალა, ხოლო მოსალოდნელი ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით, არაქმედების ალტერნატივა უარყოფილ იქნა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში მიმდინარეობს ცემენტის დაფქვა და 86400 ტ პორტლანდცემენტის სხვადასხვა (M-300; M-400) მარკის გამოშვება. საწარმოს სამუშაო რეჟიმი შეადგენს 4800 საათს წელიწადში (300 დღე, 16 საათი დღე-ღამეში). საწარმოში დამონტაჟებულია ბურთულებიანი საფქვავი წისქვილი (სიგრძე - 13 მეტრი, დიამეტრი - 2.6 მეტრი, წისქვილის შიდა საერთო მოცულობა - 69 მ[3]) და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შემდეგი ტექნოლოგიური დანადგარები: ხიდურა ამწე (სიგრძე - 15 მეტრი, სიგანე - 5 მეტრი, სიმაღლე - 9.5 მეტრი); წისქვილის საერთო ბუნკერი (სიმაღლე - 4 მეტრი);

ორი ლენტური ტრანსპორტიორი (პირველის პარამეტრები: სიგრძე - 2.7 მეტრი, სიგანე 1 მეტრი; მეორის პარამეტრები: სიგრძე - 15 მეტრი, სიგანე 0.5 მეტრი); წისქვილის ბუნკერი; ოთხი სილოსი (თითოეული 200 მ³ მოცულობით); სილოსების ერთი საერთო კასეტური ფილტრი (მტვერდაჭერის ხარისხით 99,8%); პნევმოტრანსპორტი სილოსებში გადატვირთვისათვის (წარმადობა 27,3 მ³/წთ); სახელოიანი ფილტრი - (მტვერდაჭერის ხარისხით 99,9%) და სახელოიანი ფილტრის გაფრქვევის მილი (სიმაღლე 20 მეტრი, დიამეტრი 0.9 მეტრი), რომელზეც დამონტაჟებულია უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის დანადგარი.

ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით, საწარმოში შემოტანილი მზა კაზმი იყრება ოთხივე მხრიდან კედლების მქონე ზემოდან გადახურულ 1300 მ² საერთო ფართობის ნაგებობაში (საწყობში), რომელსაც ერთ-ერთ მხარეს გააჩნია გორგოლაჭებზე მოძრავი კარი, კაზმის ავტოტრანსპორტით მიღებისთვის. საწყობიდან კაზმი ძირითად ბუნკერში იყრება ხიდურა ამწის საშუალებით, საიდანაც ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით გადადის წისქვილის საფქვავ დანადგარში. საფქვავ დანადგარში მიღებული ცემენტის ჩაყრა ხდება ჰერმეტულ, ორ მტვერდამჭერ ბუნკერში, საიდანაც წარმოქმნილი მტვერი გამწოვი ვენტილატორის მოქმედებით წარიტაცება სახელოიან ფილტრში, ხოლო ცემენტი იყრება მიწისქვეშა ბუნკერში, საიდანაც ცემენტი 27.3 მ³/წთ წარმადობის პნევმოტრანსპორტით გადაადგილდება ცემენტის ოთხ სილოსში (თითოეულის მოცულობა 200 მ³). სახელოიან ფილტრში დაჭერილი ცემენტის მტვერი ასევე ჩაიყრება იმავე მიწისქვეშა ბუნკერში, რომელშიც ხდება მიღებული ცემენტის ჩაყრა, საიდანაც გადაიტვირთება ცემენტის სილოსებში. სილოსებიდან ცემენტი იყრება ცემენტმზიდებში და გადის საწარმოს ტერიტორიიდან.

გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება გულისხმობს საწარმოს სამუშაო რეჟიმის უცვლელად (წელიწადში 300 დღე, დღე-ღამეში 16 საათი), ბურთულებიანი წისქვილის ბრუნვის სიჩქარის ცვლილების ხარჯზე ობიექტის წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდას და M-300 და M-400 მარკის ცემენტთან ერთად M-500 მარკის ცემენტის წარმოებას და საწყობში შესაძლებელია შემოტანილი იქნეს, როგორც მზა კაზმი სხვა საწარმოდან, ასევე ცემენტის ინგრედიენტები, რომელთა დოზირება მოხდება უშუალოდ წისქვილის საერთო ბუნკერში ჩაყრისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ცემენტის წარმოებისთვის გამოყენებული იქნება: კლინკერი - 141120 ტ (84%); ღორღი - 16800ტ (10%); სხვა დანამატები (ცეოლითი, თაბაშირი) – 10080 ტ (6%). ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ საწარმოში დასაქმებული იქნება 15 ადამიანი.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში ნედლეულის შემოტანა განხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებით, კერძოდ: კლინკერის შესყიდვა მოხდება ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ან რომელიმე მეზობელ ქვეყანაში (აზერბაიჯანი, თურქეთი) და ტრანსპორტირება განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის ან საწარმოს კუთვნილი ავტოტრანსპორტით (დღის განმავლობაში 15-20 სატრანსპორტო ოპერაცია); თაბაშირის შესყიდვა მოხდება რაჭის რეგიონში არსებული საწარმოებიდან (დღის განმავლობაში 1-2 სატრანსპორტო ოპერაცია); ღორღის შემოტანა მოხდება სოფ. კავთისხევის ტერიტორიაზე არსებული ქვიშა-ხრეშის საბადოებიდან (დღის განმავლობაში 4 სატრანსპორტო ოპერაცია), ხოლო ცეოლითის შემოტანა მოხდება სოფ. ზემო ხანდაკიდან და ტრანსპორტირება განხორციელდება მდ. მტკვრის ნაპირზე არსებული გზით, დასახლებული პუნქტების გვერდის ავლით (დღის განმავლობაში 1-2 სატრანსპორტო ოპერაცია).

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, პროდუქციის ტრანსპორტირებისთვის დღის განმავლობაში გათვალისწინებულია 20-25 სატრანსპორტო ოპერაცია და ანგარიშში მოცემულია სატრანსპორტო ოპერაციების მარშრუტების სქემები. გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, ნედლეულის და მზა პროდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში და მაქსიმალურად გამოყენებული იქნება დასახლებული პუნქტების შემოვლითი მარშრუტები. ნედლეულის და მზა პროდუქციის

ტრანსპორტირებისას გათვალისწინებულია ავტოთვითმცლელების ძარის სპეციალური საფარით დაფარვა, მანქანების მოძრაობის სიჩქარის შემცირება და მისასვლელი გზების მორწყვა (განსაკუთრებით მშრალ ამინდებში).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და ტერიტორიის მოსარწყავად. წყალაღება გათვალისწინებულია ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან, სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის) ლიცენზიის შესაბამისად (ლიცენზიის მფლობელი შპს ,,ევროცემენტი“) სასმელ-სამეურნეო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რაოდენობა შეადგენს 264,4 მ³/წელ-ს, ხოლო ტერიტორიის და მისასვლელი გზის მოსარწყავად 40-50 მ³-ს. ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენება არ ხდება, შესაბამისად საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმოში, რომელიც პერიოდულად იწმინდება შესაბამისი სამსახურის მიერ. დოკუმენტის თანახმად, ვინაიდან, ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული და დამხმარე ინფრასტრუქტურა ძირითადად განთავსებულია დახურულ შენობა-ნაგებობაში, სანიაღვრე წყლების დაბინძურებას ადგილი არ აქვს.

გზშ-ის ანგარიშისა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში შეფასებულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედების ფაქტობრივი მაჩვენებლები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად, გამოიყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ცემენტის მტვერი (არაორგანული მტვერი 70-20% SiO_2) და ინერტული მასალის მტვერი (არაორგანული მტვერი SiO_2 <20%). მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც ფონად გათვალისწინებულია გაფრქვევის მაჩვენებლები შპს „ვიქტორიას“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმოდან, არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს მოქმედი ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებელებს, როგორც უახლოეს სურსათის მწარმოებელ რეცეპტორთან მიმართებით (შპს „ახალი ფერმის“ მეცხოველეობის ფერმა; 240 მ - საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან, ხოლო 330 მ - გაფრქვევის ნულოვანი წყაროდან), ისე 500 მეტრიანი რადიუსის საზღვარზე. შესაბამისად, წარმოდგენილ ანგარიშზე დაყრდნობით, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების მიღებული რაოდენობები შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს, როგორც ზღვრულად დასაშვები გაფრქვევები. ზდგ-ის ნორმების პროექტში დანართი N4 არ არის შედგენილი (გაფორმებული) საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. N408 დადგენილებით დამტკიცებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების შესაბამისად.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების სტაციონარულ წყაროს წარმოადგენს საწარმოში მოქმედი დანადგარები: ავტოთვითმცლელი, ცემენტის გადატვირთვის კვანძები, ბურთულებიანი წისქვილი, ლენტური ტრანსპორტიორი, კომპრესორი. ხმაურის ჯამური დონე საწარმოს ტერიტორიაზე შეადგენს 74,3 დბა-ს. გზშ-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხმაურწარმომქმნელი წყაროების ერთდროული მუშაობის პირობებში, გაანგარიშებით უახლოესი მოსახლის საზღვარზე ხმაურის დონე არ გადააჭარბებს დასაშვებ ნორმებს. ანგარიშში წარმოდგენილი გაზომვის მიხედვით, საწარმოს სრული დატვირთვის პირობებში, ხმაურის ჯამური დონე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან 54,3 დბა-ს შეადგენს. როგორც აღინიშნა უახლოესი მოსახლე მდებარეობს საწარმოდან 640 მეტრის დაშორებით, რომლის სიახლოვეს განთავსებულია მდინარე მტკვარი, საავტომობილო გზა, სოფ. სადგურ კავთისხევში მდებარე შპს ,,ევროცემენტის“ საწარმო და სარკინიგზო ხაზი. აღნიშნული ობიექტებიდან ყველა მათგანი წარმოადგენს ხმაურის წყაროს. როგორც გზშ-ის

ანგარიშშია მოცემული, აღნიშნული განაპირობებს უახლოესი მოსახლის საზღვარზე გაზომვებით მიღებულ სიდიდეს - 54,3 დბა-ს. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებები: ტერიტორიაზე ნედლეულის მიღების ან/და პროდუქციის გაცემის პროცესების განხორციელება გამორთული ძრავის პირობებში; წისქვილში ჩატვირთვისა და დაცლის ჰერმეტულობა; დანადგარების მუშაობაზე სისტემატურ კონტროლი და საჭიროების მიხედვით სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სხვ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო (შერეული მუნიციპალური ნარჩენები), სახიფათო (აბსორბენტები, ფილტრის მასალები; ნიადაგი და ქვები, რომლებიც შეიცავს საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს; ფლურესცენციური მილები და სხვა ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენები და ა.შ) და არასახიფათო (განადგურებას დაქვემდებარებული საბურავები; შავი ლითონი და ა.შ) ნარჩენები.

გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვისთვის გამოყოფილია კაპიტალური ნაგებობა, სადაც ხდება ნარჩენების დროებით სეპარირებულად დასაწყობება და შემდგომი მართვის მიზნით გადაცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებზე, ხოლო მუნიციპალური ნარჩენები თავსდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორია მცენარეული საფარის მხრივ ღარიბია, ამასთან, ავტომაგისტრალთან ახლოს მდებარეობის გათვალისწინებით მსხვილი ძუძუმწოვრების მოხვედრის ალბათობა მცირეა. საწარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არ მდებარეობს ეროვნული მნიშვნელობის დაცული ტერიტორია და ბიომრავალფეროვნებაზე პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საწარმოს ზემოქმედების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ან არქეოლოგიური ძეგლები არ მდებარეობენ (აღრიცხული არ არის). საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის კატეგორიების მიხედვით, საწარმოს ტერიტორია გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების გათვალისწინებით მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. რელიეფი თითქმის სრულად ანთროპოგენურია და საშიში გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის ცენტრში გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და გაგზავნა ცენტრის ყველა გამომწერისთვის, ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიაში და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვების ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში.

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2025 წლის 29 მაისს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევის ადმინისტრაციული ერთეულის და სოფ. მიქელწყაროს რიტუალების სახლის შენობებში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „BS Group“-ის, შპს „ევროცემენტის“, კასპის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვებზე ყურადღება გამახვილდა სოფლის შიდა გზებზე სატრანსპორტო ნაკადების ზრდით გამოწვეულ ზემოქმედებაზე, სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე და მტვრის გავრცელებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვების ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

გზშ-ის ანგარიშს თან ერთვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი, დასკვნები და რეკომენდაციები.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს გარემოსდაცვითი შეფასების სფეროს სხვადასხვა მიმართულების შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა, რომელთა დასკვნებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-12 მუხლის, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და II დანართის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის 86400 ტონიდან 168000 ტონამდე გაზრდა);
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. **შპს „ევროცემენტი“ ვალდებულია:**

ა) საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის/თანდართული დოკუმენტაციის, წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;

ბ) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც კანონმდებლობის შესაბამისად იქნება მოცემული კორექტირებული გამოყოფის წყაროების რაოდენობა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის მაჩვენებლები. ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების, ასევე, მტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

გ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების და ხმაურის გავრცელების მონიტორინგის გეგმის ხელახალი შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც გაფრქვევის წყაროებზე, საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. N413 დადგენილებით დამტკიცებული „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის“ მოთხოვნების შესაბამისად, ყოველკვარტალური მონიტორინგის წარმოებასთან ერთად მოცემული იქნება ატმოსფერული ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები უახლოეს სურსათის მწარმოებელ რეცეპტორთან (შპს ,,ახალი ფერმა“). ასევე ხმაურის მონიტორინგი, როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე შპს ,,ახალი ფერმა"-სთან. მონიტორინგის გეგმაში მოცემული უნდა იყოს მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები, მონიტორინგის სიხშირე (კვარტალში ერთხელ) და შერჩეული მეთოდი/ხელსაწყო. მონიტორინგის გეგმაში დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია ცემენტის წისქვილის სახელოიანი ფილტრის გაფრქვევის მილზე მტვრის უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის შესახებ (მათ შორის, მონიტორინგის ხელსაწყოს თაობაზე მონაცემები);

დ) მონიტორინგი განახორციელოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად. ატმოსფერული ჰაერისა და ხმაურის მონიტორინგის შედეგების სააგენტოში წარმოდგენა უზრუნველყოს წელიწადში ერთხელ (მონიტორინგის ამსახველ ფოტო/ვიდეო მასალასთან ერთად);

ე) საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს საწარმოს მიმდებარე ტერიტორიისა და საწარმოს ტერიტორიის მორწყვა ცხელ და მშრალ ამინდში მტვრის წარმოქმნის შესამცირებლად, ასევე ნედლეულისა და პროდუქციის ძარაგადახურული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტრანსპორტირება დასახლებული პუნქტების გვერდის ავლით და ღამის საათებში ტრანსპორტირების აკრძალვა;

ვ) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად, ხოლო ნარჩენების მართვა განახორციელოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნებისა და ვალდებულებების და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად;

ზ) ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების მუდმივი ტექნიკური კონტროლი;

თ) ვალდებულია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს;

ი) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს **შპს „ევროცემენტს“** და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს **შპს „ევროცემენტის“** მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/360-21-4-202507111401